საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

განმგებელი

განმგებელი, გამგებელი, 1. (სამართ. ისტორია), ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელე ფეოდალურ საქართველოში. ტერმინი იხმარებოდა აგრეთვე ცენტრ. ადმინისტრაციის უმაღლესი განმკარგულებელი მოხელეებისა და სამონასტრო ხელისუფლების ფუნქციათა განმსაზღვრელადაც (მაგ., ხელისუფალნი და განმგებელნი საქმისანი). XVII–XVIII სს-ში გ-ად იწოდებოდა ქართლის მმართველი, რ-საც სპარს. შაჰი მეფისნაცვლად – ჯანიშინად ნიშნავდა (მაგ., ვახტანგ VI გ. იყო 1703–14).

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 1–2, თბ., 1982 – 84 (თზ. თორმეტ ტომად, ტ. 6–7).

2. ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი საქართველოს რესპუბლიკაში.